ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 11 აგვისტო № 1550

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი· Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

5-ს ამ მარიამობისთვეს სოფ. კაჭრეთში გარდაიცვალა

თავ. ზაზა დონიკას ძე ანდრონიკაშვილი.

ხვალ, კვირას, 12-ს აგვისტოს, გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 9½ საათზე გარდახდილ იქმნება წირვა და მის შემდეგ პანაშვიდი.

(1—1)

ხვალ, 12 აგვისტოს გამოიცემა

სურათებიანი დამატება

„ცნობის ფურცლისა“

ცალკე ნომერი გაზეთისა

დამატებით

ეღირება **10** კაპ.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. **ჯაჯანიძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. ი. **მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. **მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. **ფედოროვი**—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. დ. **მარკევიჩი**—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. **მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ·)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

ყუბანის ყაზახთა ჯარის მეორე კავკასიის პოლკის ვოისკოვოი სტარშინა თავ. ევსტაფი ჯორჯაძე გადაყვანილ იქმნა იმავე ჯარის ლაბინსკის პირველ პოლკში.

სამოქალაქო უწყებას:

კავკასიის საუფლისწულო მამულის გამმიჯვნელი ტიტულიარნი სოვეტნიკი კორინთელი დაინიშნა მეორე ხარისხის მიწის მზომელ მოხელედ.

ტფილისის მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების ბოქაული იოსებ ხოსიმესძე ბაქრაძე, თანახმად თხოვნისა ავადმყოფობისა გამო, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. ნახიჩევანის მაზრის პირველ ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი კალანდარიშვილი გადაყვანილ იქმნა გუმბრის მაზრის პირველ ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად.

ბათომის სამაზრო ხაზინის ხაზინადარი ეგნატე გედევანიშვილი, თანახმად თხოვნისა ავადმყოფობისა გამო, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

სამსონ ბოყუჩავა დაინიშნა სოხუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი დავიდ ზაალიშვილი გადაყვანილ იქმნა ოჩემჩირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონი ეპიფანე მიქაბერიძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

9 აგვისტო.

პეტერბურგი. 8 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორის ასული, საბერძნეთის დედოფალი, საბერძნეთის მეფის შვილი ანდრია, დიდი მთავრინები მარიამ პავლეს ასული და ელენე ვლადიმირის ასული, დიდი მთავრები მიხეილ ნიკოლოზის ძე და სერგეი მიხეილის ძე და პრინცესსა ბატენბერგისა ქალით პრინცესსა ალისათი საიმპერატორო იახტა „შტანდარტით“ გაემგზავრნენ ზღვის დიდ ალლუმის სანახავად. როცა იახტა ალლუმის ადგილზე მივიდა და ღუზა ზღვაში ჩაავდო, მაზე ამოვიდნენ დიდი მთავრები კირილე ვლადიმირის ძე, ანდრია ვლადიმირის ძე და ალექსი ალექსანდრეს ძე. 8½ საათზე გაიმართა უმაღლესი სადილი. 9 აგვისტოს მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი პეტერჰოფში დაბრუნდნენ.

ჩისტოპოლი. მდ. კამამ ძალიან იკლო; საქონელს აღარ იღებენ პერმში გასაგზავნად; რიბინსკში პურს აღარ გზავნიან.

კიევი. შესდგა პროექტი ქლობინ-კიევის რკინის გზის ახალ მიმართულებისა; განზრახვა აქვთ უფრო დასავლეთისაკენ დასწიონ გზა, აუარონ გვერდი კიევს და შეუერთონ კიევო-კოველის გზის ერთ-ერთ სადგურს, უფრო კოროსტენს, რომელიც სძევს კიევიდან 146 ვერსტის სიშორეზე.

მდ. დესნამ, საჟმმა და პრიპეტმა ისე დაიკლეს, რომ გაძნელებულია გემების მიმოსვლა. დნეპრი კიევში 0,89 საჟენით ნაკლებია ჩვეულებრივზე; ტემპერატურა უცბად 15°-მდე ჩამოვიდა. წვიმებიც არის.

პარიზი. ამბობენ, რომ ოსმალეთისა და საფრანგეთის კონფლიქტის გამო კრეისერი „კასსარდი“ წავიდა ოსმალეთის ნაპირებისაკენ, სადაც მას უცდის საზღვაო დივიზია გასაცილებლად.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ სმალდელიდან 8 აგვისტოს, რომ რამდენიმე დღის წინათ პოლკოვნიკი ბერკერი და მაიორი პინგკსფინი მოულოდნელად თავს დაესხნენ გასბროკის რაზმს დოორინბერგთან; 7 ბური მოკლულია, 2 დაჭრილი და 21 დატყვევებული.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. 400 ინგლისელ მღვდელს მანიფესტი დაუწერიათ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი უსათუოდ უნდა მოისპოს; ეს მანიფესტი «დეილი ნიუს»-ში დაიბეჭდა. მღვდლები ბეჯითად თხოულობენ, რომ საზარელ ომს უსათუოდ ბოლო მოეღოს. მღვდლები ამტკიცებენ, ინგლისის მთავრობამ ბურებს ამნისტია რომ მისცეს, ავტონომია მიანიჭოს და ზარალი უზღოს, უსათუოდ დასთანხმდებიან ზავსა. ამ მანიფესტის პირი სოლსბერის, ბალფურს, ჩემბერლენს და კემპბელ-ბანერმანს გაუგზავნეს.

✿ კუნძულ მალტაზე ინგლისის მთავრობას ახალი გადასახადები დაუწესებია, თანაც ეს გადასახადები ადმინისტრაციული წესით შემოუღია და არა ადგილობრივი თვით-მმართველობის დადგენილებით. ამაზედ მალტელები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ თურმე. პროტესტის გამოსაცხადებლად მალტელებს წარსულ კვირას დიდი კრება მოუხდენიათ. კრების დროს ადგილობრივ კლუბზე გაშლილი ინგლისის ბაირაღიც ჩამოუგლეჯიათ, ამას გარდა 1 აგვისტოს ღამით დედოფალი ვიქტორიას ძეგლისათვის რაღაცა სიმყავე შეუსხამთ. «რეიტერის სააგენტო» ამბობს, საზოგადოების საუკეთესო ნაწილს არ მოეწონა ეს საქციელიო.

მალტის პატრიოტულ დასს ორი მანიფესტი შეუდგენია და «დეილი ნიუს»-ის რედაქციისათვის გაუგზავნია დასაბეჭდად. მანიფესტები მეტად მკაცრ და გაბედულ კილოზეა დაწერილი. სხვათა შორის, ერთ მანიფესტში ნათქვამია: «მალ-

ფელეტონი

საქართველოს რუსეთთან შეერთება

II

ქართლ-კახეთი 1783-ის ტრაქტატიდან ირაკლი II-ს სიკვდილამდე.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ზემო მოყვანილი ხელშეკრულობა ეკატერინე დიდისა და ირაკლი მეორისა დიდის ამბით გამოცხადებული იყო თბილისში 20 აგვისტოს; ნოემბერში-კი ჩვენ მეფეს ჩამოუტანეს ეს ხელშეკრულობა ეკატერინეს ხელმოწერილი და დამტკიცებული. შემდეგ, როგორც ეს ჩვეულება იყო, წარჩინებულ პირებს დაურიგეს საჩუქრები და ორდენები. ირაკლიმ ერთგულებაზე შეჰფიცა რუსეთის იმპერატორებს; თავადი გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა ირაკლის წარმომადგენელად რუსეთის იმპერატორების ტახტის წინაშე; ნოემბერშივე ჩამოვიდა თბილისში ორი ბატალიონი რუსის ჯარისა. ორივე მხარე მეტად კმაყოფილი იყო: ირაკლი იმიტომ, რომ ეგონა—მშვიდობიანობის და ხელშეუშლელის ცხოვრების და განვითარების ხანა დაუდგა საქართველოსო, და ეკატერინე მეორე კი იმიტომ, რომ სისხლდაუღვრელად, უმსხვერპლოდ ასეთი ძვირფასი განძი შესძინა რუსეთის იმპერიას, როგორიც იყო და არის საქართველო. „ქართულ საქმეებისთვის ერთხელ კიდევ გმადლობ, სწერდა ეკატერინე პოტიომკინს,—შენ ნამდვილი გულითადი ჩემი მეგობარი ხარ. Voilà bien des choses en peu de temps (ამოდენა საქმეები ასეთ მოკლე ხანში)! ევროპის შურიანობას დამშვიდებით შევცქერი, რაც უნდათ, ის იყბედონ, ჩვენ კი საქმეს ვაკეთებთ (დუბროვინი ტომი II გვერ. 11)“.

ამ გვარად ქართლ-კახეთის სამეფო შეიქნა რუსეთის იმპერიის ნაწილი და ამითი გადაწყდა საქართველოს დანარჩენ ნაწილების ბედიც, რა თუ საქართველოს, მთელის კავკასიისა და მის მეზობლად მცხოვრებ ხალხებისაც.

მიუხედავად გაუნათლებლობისა და ყოველის მხრით უკან ჩამორჩენისა, ამ უკანასკნელებს კარგად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა რუსის ჯარის საქართველოში დაბინავება: ისინი მიმხვდარნი იყვნენ, რომ, თუ რუსეთი საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, მათი დამოუკიდებლობის დღენიც დათვლილი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ 1783-ის ხელშეკრულობა შეიქმნა ირაკლისა და მისი ერისათვის წყარო დაუსრულებელ უბედურებისა და ტანჯვა-წამებისა.

ადერბეიჯანის ხანები და მთელი სპარსეთი შეირყა, როცა გაიგო რუსეთის ჯარის ჩამოსვლა საქართველოში. მთელი მცირე აზია იმის მოლოდინში იყოო, ამბობს ბუტკოვი, რომ რუსეთი, საქართველოში ფეხ მომაგრებული, მათ დაუწყებს ცემას და ბოლოს ხელში იგდებს. ყირიმის დაპყრობას იმის მეათედი შთაბეჭდილებაც არ მოუხდენია ოსმალეთის მაჰმადიანებზე, როგორიც იქონია საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, და მართალიც იყვნენ ოსმალეთის პოლიტიკოსები, როცა ეგრე აფასებდნენ ამ დიდ-მნიშვნელოვან ისტორიულ აქტს ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთი არ სცხრებოდა, მუდამ აქეზებდა ლეკებსა და თათრებს ქართლ-კახეთზე და არ ზოგავდა არც ფულს, არც სხვა საშუალებას ამისათვის. მისი მიზანი იყო შეეგონებინა ირაკლისათვის, თუ რამდენად მავნებელი იყო ქართველობისათვის რუსეთის ჯარების ტფილისში ჩამოსვლა და რუსების გაბატონება საქართველოზე.

„რუსეთის ჯარების საქართველოში მოსვლიდანაო, ამბობს ბუტკოვი (ტ. II, გვ. 177), მისთვის (საქართველოსთვის) ყველაფერი უფრო ცუდი შეიქნა; საქართველოს მორჩილი და ქვეშევრდომი მაჰმადიანები აღარ ემორჩილებოდნენ კვლავინდებურად; ადერბეიჯანში დაჰკარგა მან ძველი გავლენა და მოაკლდა ის ძღვენი, რომელიც იმათგან მოდიოდა განჯა თითქმის ჩამოშორდა საქართველოს, ერევანი ხარკს არ იძლეოდა, შუშის ხანმაც შესწყვიტა ამდენი ხნის კავშირი ირაკლისთან. ყველა ამ ზარალის მაგიერ საზღაური არა მიუღია რა ქართლ-კახეთის მეფეს“.

ეს კიდევ არაფერი, ახალციხის ფაშა და ავარიის მბრძანებელი ომარ-ხანი დიდის ჯარით მოდიოდა ირაკლის წინააღმდეგ. ირაკლი ხედავდა ყველა ამას, იცოდა, თუ რა საშინელი უბედურება მოელოდა მის ქვეყანას, ამიტომ შიკრიკს შიკრიკზე უგზავნიდა “ლინიაზე“ მდგარ რუსის ჯარის უფროსს და შემწეობას სთხოვდა. მაგრამ შემწეობა არ სჩანდა, და ის რუსის ჯარი კი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, ერთობ მცირე იყო (სულ 1800-მდე კაცი). ომარ-ხანმა მოიარა ქართლი, ბევრი სოფელი დაანგრია, დიდ-ძალი ტყვე წაიყვანა და ახალციხეში გადავი-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 154[illegible].

ტა—ყოველთვის თქვენ ხელში იქნება, მალტელები თქვენი მსახურები და თუ გნებავთ მონები გიქნებით, მაგრამ ჩვენი გული კი თქვენთვის მკვდარი იქნება და ამასთანა სამსახურსა და მონობას ხომ არც მადლი აქვს და არც ლაზათი. ჩვენ შვილებსაც ასეთ ანდერძს დავუგდებთ: «გადაუხადეთ ის ბოროტება, რა ბოროტებაც თქვენ მამებს დაჰმართეს». მეორე მანიფესტში ყველა მოქალაქეებს ურჩევენ, ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლისათვის დაემზადენითო, წმინდა საქმეს ნუ უღალატებთ, ნუ დაივიწყებთ, რომ თავდაპირველად მალტის მოქალაქეები ხართ და მერე ინგლისის ქვეშევრდომებიო. თუ ასე მოიქცევით, შთამომავლობის ლოცვა კურთხევასა და მთელი ქვეყნიერობის ქებას დაიმსახურებთო. ორივე მანიფესტს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მდივანი აწერენ ხელს.

საფრანგეთი. წარსულ ხუთშაბათს პარიზში იმპერიალისტებმა კრება მოახდინეს. კრებას ცნობილი ბონაპარტისტი დეპუტატის კასსანიაკის წერილი მოუვიდა. კასსანიაკი ეხლანდელ პლებისციტის მომხრე იმპერიალისტებს «გადაგვარებულად» სთვლის. ვიქტორ ნაპოლეონს ორი თავი ხომ არა აქვს, რომ ერთს და იმავე დროს ზოგისთვის პირველი კონსული იყოს, ზოგისათვის—იმპერატორი. პრინცი ვიქტორი ან ნაპოლეონად უნდა იქცეს, ან თავის მამასავით პოლიტიკური სცენიდან გაჰქრეს; მამა-მისიც ამაოდ სცდილობდა მონარქიულ იმპერიასა და საკონსულო რესპუბლიკას შუა რაღაც საშუალო ფორმა მოეძებნაო.

✿ «უნივერ»-ის სიტყვით, ბელგიელი ეპისკოპოსები წინააღმდეგნი არიან, რომ ფრანგი ბერების კრებულები ბელგიაში გადასახლდნენო. ბელგიელ ეპისკოპოსებს გადაუწყვეტიათ: ფრანგ ბერებს მხოლოდ იმ პირობით უნდა მიეცეს ბელგიაში დასახლების ნება, რომ ფულები და შეწირულებები არ მოაგროვონ, სკოლები არ გახსნან და ხალხისათვის სამლოცველოები არ გამართონ.

იტალია. ამბობენ, გარეშე საქმეთა მინისტრი პრინეტი სამსახურიდან გადადგებაო. პრინეტს ეშინიან, ვაი თუ ალბანიის საქმის გამო ატეხილმა პოლემიკამ მის პოლიტიკას როგორც იტალიაში, ისე საზღვარ-გარეთ სახელი გაუტეხოსო. ოპპოზიციის გაზეთები ამტყუნებენ პრინეტს; სულ ამ მინისტრის ბრალია, რომ ამ ბოლოს დროს იტალიური გაზეთები ასე მკაცრად იხსენიებენ ავსტრიასაო.

✿ გაზეთები იუწყებიან: რაკი ფინანსთა მინისტრად კარკანო დაინიშნა, ეხლა კი იმედია, რომ მთავრობის ფინანსიური პროგრამმა შესრულებული იქნებაო. ცანარდელი თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის თავისი დაპირება შეასრულოს და ხალხს გადასახადების ტვირთი შეუმსუბუქოს, მაგრამ მთავრობა დიდ რეფორმას არ მოახდენს; გადასახადების სისტემის ძირეულ რეფორმაზე ხომ ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის.

✿ გაზ. «ნოვოსტი»-ის კორესპონდენტი იწერება ნეაპოლიდან: «11 აგვისტოს (ახ. სტ.) დილით ყველა ტრამვაის მოსამსახურეებმა გაფიცვა მოახდინეს; კონდუქტორებმა, მეეტლებმა (კუჩერებმა), მეხანიკეებმა და თვით კონტროლიორებმაც-კი,—ყველამ მუშაობაზე ხელი აიღეს. საკვირველი ისაა, რომ თუმცა ხალხს დიდ შეწუხებასა და ზარალს აძლევს ეს გაფიცვა, მაინც ყველანი გაფიცულებს თანაუგრძნობენ; ადგილობრივ მოხელეებიც თანაუგრძნობენ, მაგრამ ვერაფერი კი ვერ უშველიათ. ესეა წუთი სოფლის წესი: თანაგრძნობა ყველგან ბევრია, მაგრამ საქმით დახმარება კი მეტად ცოტა. გაფიცულები თხოულობენ: ჯამაგირი მოგვიმატოსთ, სამუშაო დრო შეგვიმცირდეს, ყოველ მოსამსახურეს თვეში ორი სრული დღე შესვენების ნება ჰქონდესო. ამას გარდა კიდევ სხვა შეღავათსაც თხოულობენ. გაფიცულები წესიერად იქცევიან, მაინც მოხელეებმა,—ხომ იცით სიფრთხილეს თავი არა სტკივაო,—ტრამვაის დეპოსა და თვლებთან ჯარები დააყენეს სადარაჯოთ; სხვა ჯარებსაც ბრძანება აქვთ მზად იყავითო და ახლო ქალაქებიდან მაშველი ჯარებიც მოუთხოვნიათ. რასაკვირველია, ეს გაფიცვა მეეტლეებისათვის (მეფაიტონეებისათვის) მეტად სახეიროა, მაგრამ ამათაც კი კაცები გაგზავნეს მეფის კომისართან და სხვა და სხვა შეღავათი მოითხოვეს; თუ ვინიცობაა, ამ თხოვნას არ შეგვისრულებთ, მუშაობაზე ხელს ავიღებთო.

სამხრეთ-აფრიკა. სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნებულ ინგლისელ ჯარის-კაცს ამნაირი ამბავი უამბნია ნაცნობისთვის:

ბრანფორტს ახლო, ერთ ბლოკჰაუზში ჯარისკაცებს ხელდახელ სცენა მოუწყვიათ და წარმოდგენა გაუმართავთ. თურმე პიესა «ნაპოლეონ»-ს თამაშობდნენ. თითონ დარაჯსაც თამაშობაში მონაწილეობა მიუღია. თამაშობის დროს შესავალ კარებიდან უცებ ყვირილი მოისმა: «მე ვარ ნაპოლეონი და ნაპოლეონის როლიც მე უნდა შევასრულო. ყველანი ზეზე ადექით!». ამას ერთი ბური იძახოდა. გამოჩნდა, რომ თამაშობის დროს ბურები ბლოკჰაუზს გარს შემოჰხვევოდნენ. შემდეგ ბურებმა მთელი რაზმი დაატყვევეს, იარაღი, ბარგი და თვით სცენის ნივთებიც წაიღეს და ამნაირად მართლაც ნაპოლეონის როლი შეასრულეს.

✿ ბრიუსელიდან იწერებიან: ტრანსვაალის ელჩმა ახალი ნოტით მიჰმართა სახელმწიფოებს. ნოტაში პროტესტია გამოთქმული ლორდ კიტჩენერის ახალი პროკლამაციის წინააღმდეგ.

✿ როგორც ვიცით, ბლაკფონტენთან ბრძოლის შემდეგ, ხმა გაავრცელეს, ვითომ გენერალმა დელარეიმ ბრძანება გასცა, ყველა დაჭრილი ინგლისელები დახოცეთო. ერთი ინგლისელი სამხედრო ექიმი ტომი დელარეისთან ტყვედ ყოფილა, კარგად გაუცვნია ეს გენერალი და ეხლა ამტკიცებს, ყველა ეგ ცნობები—ნამდვილი ჭორიაო. ექიმი მოგვითხრობს, ტყვედ წამიყვანა გენერალმა დელარეიმ და შემდეგ 50, თუ 60 სხვა ტყვესთან ერთად გამანთავისუფლა. ამათში რამდენიმე მსუბუქად დაჭრილი და ავადმყოფიც ერია; ვისაც სიარული არ შეეძლო, დელარეიმ ეტლში ჩაასხმევინა და ინგლისელების საავადმყოფოში წააყვანინა, სამ ოფიცერს თავისნი ცხენებიც კი დაუბრუნა. ტყვეებს დელარეი თურმე ყოველ დღე ნახავდა ხოლმე, ყოველთვის დიდად უფრთხილდებოდა და ცდილობდა, არა დაჰკლებოდათ რა. ხშირად მეგობრულად ესაუბრებოდათ და თავის საკუთარ თამბაქოსაც კი უთავაზებდათ ხოლმე. ერთხელ დელარეის ერთ დაჭრილ ტყვესთან დიდხანს ელაპარაკნა, მერე, როცა წასულიყო, ტყვეს კითხა: «ეგ ვინაა?»—გენერალი დელარეი იყოო»—უპასუხნათ მაშინვე. დაჭრილი შეწუხდა: «ოჰ, ღმერთო ჩემო, რომ მცოდნოდა გენერალი იყო, პატივს ვცემდიო. მაშ ეგ არის დიდებული დელარეი!», როცა უთხრეს, რომ ინგლისელი ჯარის-კაცი «დიდებულ» დელარეის გეძახისო, დელარეიმ გაიცინა და სთქვა: «რასაკვირველია, მეტად სასიამოვნოა, რომ მტერმა «დიდებულ» კაცად ჩაგთვალოს, მაგრამ შეუდარებლად უფრო სასიამოვნოა, რომ მტერმა კაცად-ადამიანად გიცნას. ამაშია ნამდვილი დიდებულება და ჩვენც ყოველის ძალით და ღონით ამას უნდა ვცდილობდეთო».

შეერთებული-შტატები. ორ რესპუბლიკას ვენეცუელასა და კოლუმბიას შეტაკება მოუვიდათ. ლამის ამათ საქმეში შეერთებული-შტატებიც გაერივნენ. ამ რესპუბლიკებს ნაიდაგნაჩხუბი მოსდიოდათ სახღვრის თაობაზე, ადებმიცემობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს, ამას გარდა ვენეცუელა უკმაყოფილებას იმაზედაც აცხადებდა, რომ სამედიატორო მოსამართლემ, ესპანიამ, კოლუმბიას ჩემი კუთვნილი ადგილი მისცაო და სხვ.

✿ გაზეთები იწერებიან, რომ გაფიცული მუშების მეთაურმა შეფერმა ახალი განკარგულება მოახდინა და კიდევ 20,000 მუშას საქმეზე ხელი აადებინა. ამბობენ, სინდიკატი რამდენსაც წინად საქონელს ამზადებდა, ეხლა იმის ორ მესამედს ძლივს-ღა ამზადებსო.

გერმანია. ყველა თავისას სჩივის და გერმანია კი სულ ახალ სადამოჟნო ტარიფზე ჰფიქრობს. გაზეთები იწერებიან: ოლდენბურგში სოფლის წვრილი მეურნეები მეტად უჩივიან ახალ პროექტსა; მათის აზრით, ეს პროექტი მხოლოდ დიდი მებატონეებისათვის იქნება სასარგებლო. ოლდენბურგში ამნაირი საჩივარი დაუწერიათ: «როგორც ჩვენი ვაჭრობისა და მრეწველობისათვის, ისე სოფლის მეურნეობის ინტერესებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ გერმანიამ თავის წინანდელ სავაჭრო პოლიტიკას არ უღალატოს. პურის ბაჟის მომატება ჩვენს მიწად-მოქმედებას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს, საქონლის პატრონებს კი დიდ ზარალს მისცემს. ვსთხოვთ ოლდენბურგის მთავრობას, გერმანიის სახელმწიფოთა კავშირის საბჭოში მთელი თავისი გავლენა მოიხმაროს და ეცადოს, რომ პურს ბაჟი არ მოემატოს და წინანდელი სავაჭრო პოლიტიკა არ შეიცვალოს».

სხვა ადგილებში გლეხებიც ადგნენ, კრებებს ახდენენ და ერთ ხმად პროტესტს აცხადებენ ახალი ბაჟების წინააღმდეგაო.

ახალი ამბავი

✦ გუშინ დილით, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში მოხდა კერძო კრება ტფილისის თავად-აზნაურთა, თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. კრების საგანი იყო მომავალ საიუბილეო დღესასწაულის შესახებ ზოგიერთ საქმის განხილვა.

✦ პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად მთავრობას დაუმტკიცებია თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე.

✦ ამ დღეებში ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი ამბავი უგანათ. თავ. ა. ვიტგენშტეინის მოკვლის შესახებ. გაზეთებში ვკითხულობთ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს ამის შესახებ. 2 აგვისტოს მოხდა დუელი ნოვო-პეტერჰოფის მიდამოებში; მოპირდაპირეებად იყვნენ: უგანათ. თავ. ალ. ვიტგენშტეინი და სამსახურიდან გამოსული პოლკოვნიკი მარტინოვი. დუელი გათავდა ახალგაზდა ვიტგენშტეინის სიკვდილით. დუელის მიზეზი შემდეგი შემთხვევა ყოფილა: სესტრორეცკიდან პეტერბურგში მატარებლით მიდიოდა ხსენებული მარტინოვი; მის ახლო ორი ფრანსიელი ქალი ისხდა, რომელნიც დასცინოდნენ მარტინოვს და ცუდად იხსენიებდნენ მის ეროვნებას. მაშინ მარტინოვი მიუბრუნდა მათ და ჰკითხა: თქვენ სადაურები ბრძანდებითო. ქალებმა მიუგეს — პარიზელებიო.—არა მგონია, უპასუხა მარტინოვმა; პარიზელები უფრო აღზრდილნი და თავაზიანები არიანო. ქალებმა ეს იწყინეს და შესჩივლეს თავ. ვიტგენშტეინს, რომელიც მათთან იყო. მარტინოვი და ვიტგენშტეინი წალაპარაკდნენ და ამას დუელიც მოჰყვა, რომელიც ასე სამწუხაროდ გათავდა.

✦ შემოდგომაზედ მოწვეულ იქნება საგანგებო კრება, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა. კრებამ სხვათა შორის, უნდა აირჩიოს საზოგადოების დირექტორი ნაცვლად ტერ-ასატუროვისა, რომელსაც ვადა უთავდება.

✦ 15 აგვისტოს ბორჯომში გაიმართება საბავშვო და საცეკვაო სალამო საქველ-

---

და. საქართველო უკიდურესს მდგომარეობაში იყო. თვითონ ირაკლის სიტყვით, საქართველო ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ყოფილა შაჰაბაზის შემდეგო. შაჰაბაზის საშინელი მძვინვარებაც ხომ ნაჩვენებ გარემოებათა შედეგი იყო: კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი სცდილობდა რუსეთთან დაახლოვებას, წინააღმდეგ დიდ მოურავის, გიორგი სააკაძის პოლიტიკისა, წერილს წერილზე და დესპანს-დესპანზე უგზავნიდა რუსეთის მეფეებს—მიშველეთო, და მერე იმ დროს, როცა რუსეთს შინაურ საქმეებიდან ვერ მოეცალა და ყირიმი დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. ბოლო ამ პოლიტიკისა ყველამ იცის—ნახევარი კახეთი სპარსეთში გადაასახლეს და დღესაც იქ სცხოვრობენ, ჩვენთვის სამუდამოთ დაკარგულნი.

ირაკლის ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ამ დროს სულ პოტიომკინთან იყო. მეფე ეკითხებოდა თავის წარმომადგენელს, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა რუსეთის სრულის ნდობის მოპოვება—ირაკლის ეგონა, რომ პირობის აუსრულებლობა და საშინელ გასაჭირის დროს დახმარების არ აღმოჩენა მისი უნდობლობით მოდიოდა რუსეთის მთავრობას. მეტად არ ვიგვაჩნია, მოვიყვანოთ გარსევან ჭავჭავაძის მიერ ნაჩვენები საშუალება საქართველოს გაჭირვებულ მდგომარეობის შველისა. პოტიომკინი უნდა გაეხადნა ირაკლის თავის ვასსალად (მორჩილ მთავრად) და სამთავროდ მიეცა მისთვის კავკავიდან მთელი მთიულეთი. ამითი საქართველო დიდ სარგებლობას ნახავს, სწერდა ელჩი ირაკლი მეორეს, დარიალი გახდება ძლიერი და ოსებს საბოლოოდ დაამშვიდებსო; გზა უშიშარი შეიქნება, ანანური ევროპიელი ქალაქი გახდება, გაივსება ფაბრიკებით, ხელობის ხალხით და ვაჭრობით და თან და თან საქართველოშიაც შემოვა წესი ევროპიულის ცხოვრებისაო. ამასთანავე ჭავჭავაძე ატყობინებდა მეფეს ერთს საიდუმლოდ გაგებულ ამბავს: ვითომც პოტიომკინს განზრახვა ჰქონდა ირაკლის სიძედ გახდომოდა. ამიტომ ელჩი ურჩევდა მეფე-დედოფალს, წინდაწინვე დარწმუნებულიყვნენ 18 წლის ანნას მორჩილებაში და გაეგრილებინათ მეფისწულის სიყვარული რევაზ ერისთავისადმი (ანნა ბატონიშვილს მართლა უყვარდა ეს ერისთავი და გაჰყვა კიდევაც მას ცოლად).

დახმარება არ იყო, მაგრამ ირაკლი მაინც თავის პატარა ძალ-ღონით სცდილობდა აწეწილ საქმეების გამობრუნებას. 1787-ში შეჰკრიბა 6000 ქართველი ჯარის-კაცი, თან წაიყვანა ტფილისში მყოფის რუსის პატარა ჯარი და გასწია ყარაბაღისაკენ თავის ქვეყნის შემაწუხებელთა წინააღმდეგ. ბუტკოვის მოწმობით, საქმეთა მიმდინარეობა ისეთი იყო ჩვენის მეფის მოწინააღმდეგეთა მხარეზე, რომ ირაკლის უთუოდ უნდა გაემარჯვნა და ამით ცოტა ხნით მაინც სული მოეთქვა, მაგრამ აქ ისევ განმეორდა ტოტლებენის ისტორია: სრულებით მოულოდნელად რუსის რაზმის უფროსს პოლკოვნიკ ბურნაშოვს მოუვიდა პოტიომკინის ბრძანება დაუყონებლივ დაბრუნებულიყო თავის ჯარით რუსეთის საზღვრებში. რამდენი არ ემუდარა ირაკლი მეორე და სხვებიც ბურნაშოვს დარჩენილიყო მხოლოდ თორმეტი დღე, რუსის პოლკოვნიკი არ დასთანხმდა და სამს დღეში გაუდგა რუსეთის გზას. ირაკლიც იძულებული შეიქნა, რასაკვირველია, მიეტოვებინა დაწყებული საქმე და დაბრუნებულიყო სახლში. ამ გვარად საქართველოდან გაიყვანა რუსეთის მთავრობამ ის პატარა ჯარიც, რომელიც ტრაქტატის შეკვრისათანავე იყო გამოგზავნილი. წინააღმდეგ ხელ-შეკრულობის განსაკუთრებულ არტიკულების მეორე მუხლისა, საქართველოში აღარ იყო დამხმარე ჯარი რუსებისა.

რაღა დარჩენოდა ირაკლი მეორეს? მეფის თხოვნით დააბრუნეს საქართველოში მისი შვილი ანტონი, საქართველოს კათალიკოსი, და ელჩი ჭავჭავაძე. ამის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა; თითქმის ძველი განწყობილება განაახლა ირაკლიმ ხანებთან, ოსმალეთიც ნაკლების იჭვიანობით უყურებდა მას. საქმეთა ამ გვარ მიმდინარეობის დროს გასაკვირველი არ იყო, რომ ირაკლიმ არ გაუგონა პოტიომკინს და კინკლაობა არ დაუწყო ოსმალეთს, როგორც ამას პოტიომკინი ურჩევდა. საქართველომ შეისვენა და ცოტა სული მოითქვა.

მაგრამ ეს შესვენება ხანგრძლივი არ ყოფილა. ირაკლი მაინც რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფად ითვლებოდა და სპარსეთის შაჰი ამას ვერ ითმენდა, რადგან იგი გურჯისტანს თავისად სთვლიდა—აღა-მაჰმად-ხანი ემზადებოდა საქართველოში შემოსევისათვის. რუსეთმა არ იცნო აღა-მაჰმად-ხანი სპარსეთის კანონიერ მბრძანებლად და საქართველოს გაოხრებით სურდა მას რუსეთის შურის ძიებაც. ტანჯული და წამებული მეფე ხედავდა ქვეყნის განსაცდელს, სთხოვდა შემწეობას რუსეთს—ან მიშველეთ, ან პროტექტორატზე ხელი აიღეთ, რადგან ამისთვის უფრო აცმევენ ჯვარს ჩემს ერსაო, მაგრამ ამაოდ. გუდოვიჩი სწერდა ირაკლის, რომ «нынѣ отправлять въ Грузію войска за благо не прiе-

მოქმედო მიზნით. შემოსავალი გადაიდება კავკასიის **სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოებისათვის.**

◆ ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს გარდაწყვეტილებით, ქუთაისის მაზრის მეორე და მესამე განყოფილებათა **მომრიგებელ შუამავლებს** მუდმივი ბინა ქალაქ ქუთაისში უნდა ჰქონდესთ.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოში თეოდორე ნერინგმა წარადგინა აპელაციური **საჩივარი გამგეობის წევრების** ხოსროევისა და თავ. ჩერქეზიშვილის წინააღმდეგ, რომელთაც უჩივის ცილის-წამებას. საქმე 5 ოქტომბერს გაირჩევა.

◆ ბაქოს გუბერნიის საერო **სასწავლებლის დირექტორი** ბ. თხორჟევსკი ტფილისში ჩამოვიდა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ განსვენებულის **ზუბალიშვილის სახელობაზე** ღარიბებისათვის სახლი უნდა აშენდეს. ამ სახლის პროექტს 4 ენკენისთვეს, ქალაქის საბჭოს წარუდგენენ განსახილველად.

◆ ქალაქის ტეხნიკებს ებრძანათ, რომ ქალაქის უმთავრესი ქუჩები შეაკეთონ და გააუმჯობესონ. ეს საქმე უსათუოდ საიუბილეო გამოფენის გახსნამდე უნდა დაამთავრონ; ტეხნიკებს მუშაობა უკვე დაუწყიათ.

◆ ტფილისის პირველ და მეორე მომრიგებელ სასამართლოთა **გამომძიებლებს შორის** უთანხმოება აღიძრა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გამოიძიოს საქმე ალექსანდრე ლორთქიფანიძისა, რომელსაც ბრალდება ცატუროვის მაღაზიის გაძარცვა. უთანხმოების განხილვა წარედგინა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს.

◆ მოხელე ტაბლიაშვილი, რომელმაც ამას წინად **როდიონოვის ქალის მოკვლა განიზრახა**, გამომძიებლის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა მეტეხის ციხის საავადმყოფოში.

◆ მიწად მოქმედების სამინისტროს მიუღია **თხოვნა ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ** მცხოვრებთაგან—დაქირავებულ იქმნას მათთვის სანავთო მიწების იჯარით მიცემა სიღნაღის მაზრაში და ყარაიაზში. მთხოვნელები აცხადებენ, რომ მათ განზრახვა აქვთ შემოდგომაზე უკვე დაიწყონ მუშაობა.

◆ დღეს დ. სურამში ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის მეთაურობით და ელ. ჩერქეზიშვილის, კ. ყიფიანის და სხვათა მონაწილეობით **გაიმართება წარმოდგენა.** წარმოდგენილ იქმნება ქართულად „ხანუმა“ და რუსულად „პისა პიესაში“. დასასრულ დივერტისმენტი და ცეკვა.

◆ ტფ. გამგეობამ უბძანა სავაჭრო პოლიციის აგენტებს, ეცადენით **მეტრაქტორების გადასახადები გამოართვათო.** ვინც არ გადაიხდის, იმათ წინააღმდეგ საზოგადო პოლიციის დახმარებით სასტიკი ღონისძიება მიიღეთო.

◆ ამ ჟამად რუსეთში სულ 14.854 **საქველმოქმედო დაწესებულება** ყოფილა; უმეტესი ნაწილი ბალტიის მხარესა და ფინლიანდიაშია, ყველა ამ დაწესებულებათა საშუალება ყოფილა 405 მილიონი მანათი.

◆ **ტფილისის მესამე საქალო გიმნაზიაში** მოსწავლეთა დამატებით გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 22-დან, ხოლო მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში მისაღები ეგზამენები მოხდება 27 აგვისტოს. უმაღლეს კლასებში არც ერთში თავისუფალი ადგილი არ ყოფილა მოსწავლეთათვის.

◆ **ტფილისის საკომერციო სასწავლებლის** ახლად გახსნილ მოსამზადებელ კლასების საშუალო განყოფილებაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები უეგზამენოდ 7—9 წლამდე, ხოლო ეგზამენის დაჭერით საშუალო განყოფილებაში 8—10 წლისა. მსურველთ სასწავლებლის მთავრობას თხოვნები უნდა წარუდგინონ ორშაბათობით დილის ათი საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

◆ როგორც გვქონდა აღნიშნული, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასდო 500 მან. **სამეურნეო საზოგადოების შენობის შესაკეთებლად.** ამ ჟამად შენობის შეკეთებას უკვე შესდგომიან.

◆ დამზღვევ საზოგადოების აგენტ გრუზენბერგის მოსამსახურე პუდალოვი გამოტყდა, 406 მან. და 18 კაპ. **შემომეხარჯაო.** პუდალოვმა დააბრუნა ეს ფული და თანაც სთქვა, სხვის ხათრით ჩავიდინე ეგ საქმეო. ერთ მისს ნაცნობს ვექსილის ვადა მოსვლია და უთხოვნია ფული მასესხეო. პუდალოვს შებრალებია გაჭირვებული ნაცნობი კაცი და უსესხებია. მსესხებელს დროზე ვერ დაუბრუნებია და ამიტომ პუდალოვს თავის გასამართლებლად მოუგონია, ფული მომპარესო.

◆ გამოფენის გამგე კომიტეტმა გარდასწყვიტა უფასოდ შეუშვას ხალხი **ნავთის წარმოების პანორამის** შენობაში. ეს პანორამა დამთავრებულ იქნება მხოლოდ 25 აგვისტოსათვის.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს დაუყოვნებლივ აღასრულოს **სამხედრო-მმართველობის მოთხოვნა** ნავთლუღის ნავთის წყაროების შემოღობვის შესახებ, რადგანაც მოკლე ხანში იქ ჯარების ბანაკი იქნება გამართული.

◆ განსაკუთრებულმა კომისიამ, საგუბერნიო ექიმის თანაშემწის ბ-ნ ბროძელის თავმჯდომარეობით, დაათვალიერა გუშინ **ხელოვნურ მინერალურ წყლების ქარხნები** ზემმელისა, გენატისა, ჩუბუხჩიანცისა და ლუიზა მადერისა. კომისიამ აღუკრძალა ზემმელის ძველ ქარხანას ლიმონის წყლით ვაჭრობა, გენადის ქარხანას მსხლის წყლით ვაჭრობა, ხოლო ჩუბუხჩიანცს—ყოველ-გვარ წყლებისა.

◆ სახლის პატრონს ოსეპიანცს 18 მაისს ქალაქის გამგეობამ მოსთხოვა, ის სახლი, სადაც ქალაქის **უმთავრესი სამკურნალოა** გამართული, შეაკეთე და ზოგიერთი სამკურნალო კაბინეთი გადააკეთეო. მაგრამ ოსეპიანცს აქამდე ეს თხოვნა არ აუსრულებია, თუმცა ის ვადა, რა ვადაც ქალაქის გამგეობამ სახლის გადასაკეთებლად მისცა,—წარსულ თვეში გავიდა; ამიტომ სასანიტარო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, თქვენ თითონ თქვენი ხარჯით გადააკეთეთ სამკურნალოს სადგომი და რაც ხარჯი მოგივათ, ოსეპიანცს ქირიდან გამოუბარეთო.

◆ ხვალ გამოვა „ცნობის ფურცლის“ **სურათებიან დამატების 1-ლი ნომერი.**

◆ 9 აგვისტოს, პოლიციის მეოთხე ნაწილში, საღამოს 7 საათზე, შემდეგი ქურდობა აღმოაჩინეს: ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სახლის (ამაღლების ქუჩაზე) დარაჯს, ავეტიკ ხაჩატურიანცს, ამავე სახლის მოსამსახურე, 14 წლის ყაზახის მაზრის მცხოვრები გეორქ მეგრაბიანცი დაჭერილი მიუყვანია პოლიციის მე-4 ნაწილში, რადგანაც ეჭვი აუღია, რომ მეგრაბიანცს სადღაც უნდა მოეპარა თათრული თოფი. მეგრაბიანცი ცოტა ხნის შემდეგ გამოტეხილა ქურდობაში და განუცხადებია, რომ მან, სხვებთან ერთად, ეს თოფი და სამი ფუთ სხვა და სხვა ძვირფას ნივთებით გატენილი გამოიტანა ეხლა აგარაკ გომბორში წასულ ტფილისის მცხოვრებ მიხეილ არგუთინსკი-დოლგორუკოვის სახლიდან. მეგრაბიანცი დააპატიმრეს. პოლიციამ ფიცხელი ღონის-ძიება მიიღო ქურდების შესაპყრობად და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად.

◆ მოქალაქე ივანე ვავილოვი, 27 წლისა, 8 აგვისტოს ჩასულა მტკვარში საბანაოდ; ვავილოვი სიღრმეში ჩაუთრევია წყალს და ის იყო უნდა წყალს კიდეც ჩაეძირა, შადინოვის ქარვასლის ახლო, ნახიჩევანის მცხოვრებს არმენა სტეფანიანცს გაუწვდია ჯოხი; ამისთვის ხელი მოუვლია ვავილოვს და ამ გზით გადაურჩენიათ დახრჩობას.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, 8 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე არაქელიანცის სახლის ეზოში პოლიციელს უნახავს მიგდებული 2 დღის დაბადებული ბავში მდედრობითი სქესისა. ბავში ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

◆ ტფილისის პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას, განკარგულება იქნეს მოხდენილი, რომ თავის დროზე ირწყვებოდეს ქუჩები, რადგანაც მტვრისაგან მეტად შეწუხებულნი არიან როგორც მცხოვრებნი, აგრეთვე გამვლელ-გამომვლელნიც.

◆ 9 აგვისტოს, პოლიციის პირველ ნაწილში, გაუფრთხილებლობისა გამო მტკვარში დამრჩვალა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის კანონირი პეტრე დუნცი; დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

პრესსა

ამაზასპ საფაროვს სომეხ-კათოლიკე მხითარისტს შეუდგენია „გეოლოგია“, რომელსაც აწერია, რომ იგი გამოცემულია სომხურ ეკკლესიებში სახმარებლად. ამ გეოლოგიის მე 37 გვერდზე ვკითხულობთ: „რუსეთის სომხეთის ნაწილს სოფელს **აპასთუმანს** და **ასპინჰას** გამოდის გოგირდის წყაროები, სადაც ხალხი ბანაობს“.

ეს გადამახინჯებული ასპინჰა და აპასთუმანი ჩვენი ასპინძა და აბასთუმანია. როგორც ვიცით, აბასთუმანი სძევს ქვაბლიანს, ანუ ძველს ორხეს და ასპინძა ახალციხის ქვემოთ ჯავახეთს. არც ერთი ეს მხარე სომხეთს არ ეკუთვნის.

* * *

მთელ რუსეთს ცეცხლი ეკიდება. დღე არ გადის, რომ რომელიმე ქალაქში არ გაჩენილიყოს ცეცხლი. იწვის სოფელი, იწვის ქალაქი, და შველა კი არსაიდამ არის. ცეცხლის მქრობელი რაზმები ვერ ასდიან შრომას. მათ მხნეობა და ენერგია არა ჰყოფნით საშინელ სტიქიონის მოსაგერებლად. ამ გარემოებამ ჩააფიქრა რუსეთის პრესსა და გაზეთები იძიებენ სხვა და სხვა საშუალებათ მტერთან საბრძოლველად.

„ბირჟ. ვედ.“-მა გამოსთქვეს აზრი, რომელსაც ჩვენ სრულის თანაგრძნობით მივეგებებით. მისის აზრით, საზოგადოება თვით, თავისი ძალ ღონით უნდა გაუმკლავდეს მტერს, არ უნდა მოელოდებოდეს შველას გარედამ.

> „ამ საქმისათვის მთელი ხალხის თვითმოქმედებაა საჭირო. კერძო და საზოგადო ინიციატივამ უნდა იჩინოს თავი, „სპრინცოვკები“ საქმეს ვერ უშველიან, არც ოფიციალური საზოგადოებანი, რომელნიც უდარდელად საიუბილეო სადილებს ჰმართავენ შამპანიურით. მხოლოდ ჩვენ ვერ ვხედავთ საზოგადოების ინსტიკტის გაღვიძებას, არსად ვხედავთ თავისუფალ დამცველ დრუჟინების დაარსებას და სხვა ამგვარი საზოგადოების თვით-მოქმედების გაღვიძებას. საზოგადოებას ეტყობა ჯერ-ჯერობით „სპრინცოვკების“ იმედი აქვსო“.

გაზეთის სიტყვით, საზოგადოებამ თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზედ. ეს ერთად ერთი გზაა შველისა და თავის დაცვისა.

* * *

млется> და ურჩევდა ენერგიულად შესდგომოდა ქვეყნის დაცვის საქმეს. ალა-მაჰმად ხანმა დაიმორჩილა ერევნისა და განჯის ხანები, მიიღო სომეხთა კათალიკოსისაგან 100,000 მანეთი სამხედრო ხარჯისათვის და გამოსწია საქართველოსაკენ. შუშიდან ერთხელ კიდევ მისცა მან წინადადება ირაკლის ეცნო სპარსეთის უაღრესი ხელმწიფება საქართველოზე, მაგრამ მეფემ უარი შეუთვალა, რადგან კიდევ იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი მას არ მიატოვებდა უშემწეოდ. სპარსეთის ჯარი შემოვიდა ქართლში. ხალხი სულით დაეცა და გარბოდა მთებში. საშინელი დღე დაუდგა ქართლ-კახეთის სამეფოს. გამწარებული და თავ განწირული მეფე კრწანისის ველზე შეება თავის პატარა ჯარით 60.000 სპარსელს. ქართველები იძლივნენ. ალა-მაჰმად-ხანმა აიღო ტფილისი და ქვა-ქვაზე არ დაუტოვებია.

მხოლოდ სპარსელების წასვლის შემდეგ გენერალ გუდოვიჩს მოუვიდა ბრძანება დახმარება აღმოეჩინა ირაკლისათვის, როგორც რუსეთის ვასსალისათვის. ეს დახმარება ჩამოვიდა ტფილისში 1795 წლის დეკემბერში. ირაკლი ისევ გამხნევდა და შეუდგა მოღალატე ხანების დასჯას. 1796-ში რუსეთი იძულებული შეიქმნა ომი გამოეცხადებინა სპარსეთისათვის რუსეთის სავაჭრო ინტერესების დარღვევისათვის, მაგრამ მანიფესტში, სადაც ახსნილი იყო სპარსეთის გალაშქრების მიზეზი, ნაჩვენები იყო მიზეზთა შორის ალა-მაჰმად-ხანის საქართველოზე გამოლაშქრებაც. რუსეთის ჯარიც იმარჯვებდა, მაგრამ ამასობაში კვდება ეკატერინე მეორე და რუსეთის ტახტზე ადის პავლე პირველი. 1796 წლის დეკემბერში რუსის ჯარების უფროსს მოდის ბრძანება შესწყვიტოს ომი სპარსეთთან და ჯარებით უკან დაბრუნდეს.

ქართლ-კახეთის შესახებ პავლე პირველი თავის დედის პოლიტიკას ადგა; იგი უარს არ ამბობდა იმ უფლებაზე, რომელიც მიანიჭა მას 1783 წლის ხელ-შეკრულობამ, და რაც შეეხება ამავე ხელ-შეკრულობაში აღნიშნულ მოვალეობას, აი რას სწერდა იგი გენერალ გუდოვიჩს: „თანახმად მეფე ირაკლისთან დადებულ ხელ-შეკრულობისა, თქვენ წესისამებრ უნდა მოეპყრათ ამ მფლობელს, შეაგონოთ მას, რომ კეთილ განწყობილებაში იცხოვროს რუსეთის მეგობარ მფლობელებთან, რათა საჭიროების დროს შეერთებულის ძალით წინაღუდგნენ ჩვენს მტრებს...

ალა-მაჰმად ხანთან შერიგება გვიანღა იყო და შეუძლებელიც, ამიტომ ირაკლიმ, გაიგო თუ არა პავლე პირველის ტახტზე ასვლა, გაგზავნა პეტერბურგს ელჩი თ. გარსევან ჭაჭავაძე. ეს უკანასკნელი მეფის სახელით სთხოვდა რუსეთის იმპერატორს არ მოეკლო თავისი მფარველობა ქართლ-კახეთისათვის, დაემტკიცებია მეფის ტახტის მემკვიდრედ მეფის ძე გიორგი და ებრძანებია რუსის ჯარებისათვის საქართველოში დარჩენა, სანამ საჭირო იქნებიან. ეს ჯარები უნდა ჩამდგარიყვნენ ქართლ-კახეთის ციხეებში, რომელნიც ამ გვარად რუსების ხელში გადადიოდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში იმპერატორი პავლე არავითარ პასუხს არ აძლევდა ირაკლის წარმომადგენელს, მხოლოდ 1797 წლის ბოლოს შეატყობინეს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ „მისს თხოვნას საქართველოში ჯარების გაგზავნის შესახებ, ეხლა ვერ დააკმაყოფილებენ.“ მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა პირდა-პირ წამოაყენა კითხვა—ძალაშია, თუ არა 1783 წლის ტრაქტატი? თუ ძალაშია, ელჩი თხოულობს აღთქმულ დახმარებას, თუ არა და, მაშინ რუსეთმა უარი უნდა სთქვას უაღრეს ხელმწიფობაზე. მოგვყავს რამდენიმე ადგილი გარსევან ჭავჭავაძის ნოტიდან (1797, 31 დეკემბერი), რომელიც მან წარუდგინა რუსეთის იმპერატორს: „გნებავს თუ არა, დიდებულო ხელმწიფევ, ძალაში შეინახო ეს ხელ-შეკრულობა (1783) და ინებებ თუ არა აღთქმული შემწეობა აღმოუჩინო ჩემს მეფეს, რომელიც ამ ხელ-შეკრულობის პირობით უკიდურესს მდგომარეობამდეა მიყვანილი? ან თუ რაიმე მიზეზების გამო ჯერ შეუძლებელია მისი სისრულეში მოყვანა, კეთილ ინებეთ და გამოიყვანეთ გამოურკვეველ მდგომარეობისაგან და ლოდინისაგან მთელი საქართველო, რათა მეფე ჩემი და მისი ხალხი, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაცვივნულნი, ამ წმინდა ტრაქტატის მიზეზით სრულებით არ დაიღუპნენ.“ გარსევან ჭავჭავაძე თხოულობდა, რომ თუ შემწეობის აღმოჩენა არ ჰსურდა რუსეთის მთავრობას, ნება მიეცათ ირაკლისათვის„ სამეფოსათვის საჭირო განწყობილება“მოეწყო ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობლებთან.

მაგრამ მხცოვან ირაკლი მეორეს არ დასცალდა კიდევ ეზრუნა თავის სამეფოსათვის. 11 იანვარს 1798 წელს წამებული გვირგვინოსანი გარდაიცვალა ქ. თელავს, სადაც მეფე გადმოსახლდა ტფილისის დანგრევის შემდეგ. მას არ რგებია წილად, ასეთის ხანგრძლივის თავ-განწირულის ცხოვრების შემდეგ, მშვიდობიანად სიკვდილი.

„ნოვ. ვრემია“ გაკვირვებულია, რომ ამდენხანს დარბაისელი დამცველი არავინ გამოუჩნდა კლასსიციზმს. ირღვევა ძველი სისტემა, კლასსიკური სკოლა ემხობა და არავინ გამოჩნდა, რომ ერთი სერიოზული წერილი მაინც დასწეროს მის დასაცველადაო.

> „კლასსიკები ან გარუმებულნი არიანო, ამბობს გაზეთი, ან მტკნარ სისულელეს სწერენო. ამ უძლურებიდან სჩანს, რამდენად უნიჭო, უიდეო ადამიანები იდგნენ კლასსიციზმის სათავეში რუსეთში. მათ ართმევენ საყვარელს საქმეს, ისინი-კი გარუმებულან! მაშ რას ჰფიქრობდნენ წინად ისინი? როგორც სჩანს, არაფერს! ჩვენ არ გვინდა, რომ ნამდვილი კლასსიზციმი მოისპოს ჩვენა ქვეყანაში. მაგრამ საჭიროა, რომ მან, თუ სასარგებლოა და გამოსადეგი ცხოვრებისათვის, დარვინის თქმისა არ იყოს, იბრძოლოს არსებობისათვის. დღემდის კლასსიციზმი ჩვენში პრივილეგიით სარგებლობდა და სწორედ ამიტომ დაძაბუნდა ასე“.

სამღვდელოების კრება ქ. თელავში

სამღვდელოების ეს კრება იყო დანიშნული ივლისის 23-ს. კრებაზედ დაესწრნენ მხოლოდ დეპუტატები ყველა საბლაღოჩინოდან: თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრისანი. ასეთი კრებები არის ხოლმე ყოველ წლივ, რადგანაც ამ კრების საქმეა იზრუნოს სასულიერო სასწავლებლის საკეთილდღეოდ მომავალი წლისთვის.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევანდელმა კრებამ მეტი ორიგინალობა გამოიჩინა წინანდელ კრებებთან შედარებით. იმის მაგიერ, რომ წინა კრებისთვის გადაებიჯებინა და მით დაემტკიცებინა, რომ ის, როგორც ახალი, მით ნაყოფიერია და მეტი საქმის გამკეთებელია, იმის მაგიერ წლევანდელი კრება წინანდელს ბევრით უკან ჩამორჩა.

მოსამზადებელ განყოფილების მასწავლებლებს (სამს) სამღვდელოების კრებული აძლევს ჯამაგირს, თითოს ექვსას მანეთს (ესეც შარშანდელს აქეთ, წინედ ხუთის ორმოცდა ათ მანეთს აძლევდნენ). აი რა უცნაურ გზას დაადგნენ. გარდა სამის დეპუტატისა, ერთ ხმივ დაადგინეს, გაუქმებულ იყოს პირველი განყოფილება მოსამზადებელი კლასისა და აღძრეს ექსარხოს ფლაბიანესთან შუამდგომლობა, რომ მათი დადგენილება დამტკიცებულ იქმნას. ასე, რომ ამ გზით მათ ჯიბეს უკან რჩება ექვსასი მანეთი. თუ მათთვის, როგორც შეძლებულ ხალხისათვის, არ არის საჭირო ეს სასწავლებელი და ფიქრობენ თვისი შვილების გაზდას სხვა სასწავლებლებში, რატომ არა ჰფიქრობენ თვის თანამოსამსახურეებზედ: მთავრებზედ, მედავითნეებზედ, რომელნიც აგრეთვე იხდიან სასწავლებლის სასარგებლოდ ფულს. პირველი განყოფილების გაუქმება ხომ მისი ნიშანია, რომ მსურველთ სასწავლებელში შესვლისას უარი განეცხადოთ, რადგანაც ისინი ისე არ არიან მომზადებულნი, რომ პირდაპირ მეორე და მესამე განყოფილებაში მიიღონ. მათ, მგონი, მხედველობაში ჰქონდათ, რომ, რადგანაც სამინისტრო და სამრევლო სკოლები არსებობს სოფლად, ამისათვის შესაძლებელია, რომ მომზადებული ბავშვები შედიოდნენ სასწავლებელში. თუ ასე ფიქრობენ დეპუტატები, ძალიან სცდებიან. ჯერ ერთი, ამისთანა სკოლები ყველა სოფელში არ არის, მეორე კიდევ, საცა არის იქ, ვინ არ იცის, როგორ ამზადებენ ბავშვებს. ამით არ გვინდა შეურაცხყოფა მივაყენოთ სოფლად მუშაკ ხალხს, ამას თვისი მიზეზები აქვს. სოფლად მომზადებული ბავშვები რომ პირდაპირ მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში მიიღონ სას. სასწავლ., ამისათვის საჭიროა ბავშვის სოფლის სკოლაში მომზადება ერთი წელიწადი კი არა, რატომ ორი და სამიც არა. ეს მტკიცდება იმ მოვლენიდან, რომ კარგა ხანია ეს სკოლები არსებობს, მაგრამ ერთი წელიწადიც არა ყოფილა ისეთი, რომ პირდაპირ ბავშვები სამის ან ოთხის გარდა მიეღოთ სასულიერო სასწავლებლის მთავრობას. მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში კი მაშინ, როდესაც პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში ორმოცი და ხშირად ორმოც-და-ხუთი მოწაფე აქნება ხოლმე მიღებული, ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ სულ უდროვოა სამღვდელოების კრების დადგენილება. მგონი დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქუთაისის სამღვდელოების კრებამაც დაადგინა ესევე, მაგრამ ჩქარა პრაქტიკამ დაანახვათ, რომ ეს შეუძლებელია, თუ რომ სასწავლებლის ქონა უნდათ, და მეორე წელსვე ისევ დაადგინეს, რომ ხელ-მეორეთ გახსნილ ყოფილიყოს. მგონი ეს ჩვენზედ კარგად იცოდა კრებამ, მაგრამ ფულის და თვისი ჯიბის ინტერესი რას არ ჩაადენინებს კაცს!!

ნინის მღვდლის შვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადოთ მასწავლებელს გიორგი დ. ძე ბ. ს. ჩახნაშვილს, რომელმაც შრომა მიიღო და ქ. ზაქათალაში შეკრიბა ხელის მოწერით 15 მან. ფული თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის მომავალ შენობისათვის და ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნეს ამ საქმეს და თავიანთი წვლილი არ დაიშურეს.

სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტის წევრი
ქეთო ზარაფიშვილისა.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 აგვისტო.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: მიეცეს მიწები ზაბაიკალის ყაზახის ჯარს. დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი: დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, როგორც წინადღეებშიც, კარგათ იმყოფება. ავადმყოფობას არავითარი არა ნორმალური ხასიათი არ ეტყობა. ახლად შობილი დიდი მთავარი დიმიტრი ალექსანდრეს ძეც კარგათ იმყოფება. 9 აგვისტოს გატჩინოში იყო ნათლობა.

პრეტორია. ეტტონი და სხვა სამი ჯარის კაცი, რომელნიც ბურების რაზმს ეკუთვნოდნენ, დანებდნენ ინგლისელებს. შემდეგ ამისა მოინდომეს გაპარვა, მაგრამ ვერ მოახერხეს.

პარიზი. თუ სულთანი არ ახირდება და თავის მოქმედებას შესცვლის, დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტა ოსმალეთთან ოფიციალურად და საბოლოოდ არ იქნება გამოცხადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსი თავს დაანებებს კონსტანტინეპოლს. ოსმალეთის ელჩი მუნირ-ბეი ამ ჟამად პარიზში არ არის. შეატყობინეს, პარიზში არ დაბრუნდეო, სანამ დიპლომატიურ მოლაპარაკებას არ განაგრძობენ. რაც შეეხება იმ ზომებს, რომელსაც მიჰმართავს საფრანგეთი, საზღვაო დემონსტრაციას ასახელებენ, თუმცა შესაძლებელია, რომ საფრანგეთმა რაიმე სხვა საშუალებას მიჰმართოს.

კიურასაო. ვენეცუელის მთავრობა ესკადრას გზავნის კოლუმბიაში ბ ბარანკვილაში წასასვლელად, რათა იქ მისცეს მხარი რევოლიუციას.

პეტერბურგი. ღამე, 6 ივლისს, ოზერკებში, ცეცხლის გაჩენის დროს დაიწვა პროვიზორი ედუარდ ფრანცეს ძე კრაევსკი. 8 აგვისტოს, დილით, ოზერკის მაზრის პოლიციის მმართველობაში მოვიდა ვედერნიკოვი და გამოაცხადა, რომ ცეცხლი წაუკიდა მან, ვედერნიკოვმა და გარდაცვალებულ კრაევსკის ცოლმა.

ვედერნიკოვმა სთქვა, კრაევსკიმ ცოლი მასთან დაახლოვებული იყო, მხოლოდ ამ ბოლოს დროს ქალი როგორღაც გულგრილად ექცეოდა. ამ დღეებში ვედერნიკოვს შემთხვევით ყური მოეკრა ქალზე. კრაევსკის და ვედერნიკოვის ქუჩერის ლაპარაკისათვის. კრაევსკაია ეუბნებოდა ქუჩერს, მოჰკალი ვედერნიკოვი, აღარ დაგვიშლისო. იჭვიანობისაგან მწუხარება და სიკვდილის შიში—აი ის, რამაც გააბედვინა ვედერნიკოვს ქალს კრაევსკის გაცემა. მხოლოდ ვედერნიკოვის ნილაპარაკევი მოკლებულია საფუძველს. კრაევსკი შემთხვევით დაიღუპა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი კი ის იყო, რომ ქალ. კრაევსკის ჰსურდა დაზღვევის პრემია მიეღო. კრაევსკის ქონება იყო დაზღვეული 12,000 მანეთში ვედერნიკოვი, ქვ. კრაევსკი და ქუჩერი დააპატიმრეს.

რედაქტორი
ალ. ჭყონია.
გამომცემელი
ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 აგვისტოს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100¼ „
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	426½ მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336½ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	230½ „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებლი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის სადამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის სადამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის სადამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის სადამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბსნითახოვისა, ავადმყოფე უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენის და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ტელეფონი № 741.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჰურჭლისათვის და სხვ.
დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).
განყოფილება
სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—13)
ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ. „Фармацевтика“.

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.